ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“- ს თავმჯდომარის 2022 წლის ანგარიში

2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 78 000 -მა ადამიანმა. მათ მიერ მოხსენიებული ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობა კი 1,126,000-ია. თითოეული მათგანი, პატრიარქის კურთხევით, ტაძრის აღმშენებლად - ქტიტორად მოიხსენიება. ინფორმაცია აღმშენებლების შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე: www.iveriisa.ge .

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა 716,489,08 ლარი. სულ 2010-2022 წლებში 26.674.329.50 ლარია შემოსული. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელონად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალო თვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 250,000 ლარს, 2022 წელს ეს რიცხვი იყო 62,000 ლარი.

2022 წელს შემოწირული თანხიდან (716,489,08 ლარი) სულ დაიხარჯა 275.868.40 ლარი, რაც მოხმარდა ისეთ საჭიროებებს, როგორიცაა: ტაძრის მშენებლობა/კეთილმოწყობისა და ფუნქციონირების მიმდინარე ხარჯები (ტაძრის ეზოს შემოღობვა, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთების დამზადება-შეძენა, კომუნალური ხარჯები, მათ შორის ელექტროენერგიისა და წყლის; დაცვის სამსახურის, ტაძრის პერსონალის ხელფასი), ასევე საგანმანათლებლო ხარჯები და სხვ.
სულ 2010 – 2022 წლებში დახარჯულია 25.555.202.71 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ანგარიშზე არის 1,119,126,79 ლარი.

დაწყებული 2012 წლიდან ყოველწლიურად კეთდება ჩვენი შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტი. ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2022 წლების აუდირებული ფინანსური უწყისები.

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე

სამშენებლო სამუშაოები

მახათას მთაზე მშენებარე ღვთისმშობლის სავანის კომპლქსში სამუშაოები არ შეჩერებულა. იგეგმება ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გრანიტის ფილების დაგება, ტაძრის გარე კედლების მხატვრული განათება.

ტაძრის მიმდებარე ტერიტორია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დასრულდა მუშაობა მღვდელთმსახურთა სახლის პროექტზე;

მღვდელთმსახურთა სახლის პროექტი

შეხვედრები საზოგადოებასთან

2022 წელს „საზოგადოება ივერიისა"–მ ორგანიზაციებთან ურთიერთობა გააგრძელა ონლაინ რეჟიმში. სისტემატიურად ხდებოდა კომუნიკაცია მახათას პროექტში ჩართულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მათ მიეწოდებოდათ ინფორმაცია მახათას მთაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

განხორციელებული კომუნიკაციის შედეგად პროექტში ჩაერთო ახალი ორგანიზაციები. სისტემატიურად ივსება და რედაქტირდება ღვთისმშობლის სავანის აღმშენებელთა ბაზა.



აღმშენებელთა ბაზის გაახლება

საგანმანათლებლო მიმართულება

ღვთისმშობლის სავანის პროექტის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას.

„საზოგადოება ივერიისა“ მიიჩნევს რომ ამ ახალი ცენტრის მშენებელობის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია, რომ უკვე დღეს დავიწყოთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და გაცნობიერება. კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს საქართველოს იმ უმთავრეს საგანძურს, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებსა და თვითმყოფადობას. ამ პროცესის ნაწილია ჩვენი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მისი გააზრების მნიშვნელობის შესახებ „საზოგადოება ივერიისას“ მიერ დაწყებული ახალი საზოგადოებრივი კამპანია. წიგნი „შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“, რომელიც „საზოგადოება ივერიისა“-ს მხარდაჭერით მომზადდა გამოსაცემად, ამ მიზანს ემსახურება.

ნაშრომის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ნანა ბურჭულაძე. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

წიგნი -„ შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“

წიგნის „ შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“ პრეზენტაცია

მრევლთან მუშაობა

2022 წლის 26 აპრილს, ბრწყინვალე შვიდეულში, სამშაბათს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე, მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო წირვა აღავლინა.

2022 წლის 26 აპრილი - ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული მახათას მთაზე.

2022 წლის 12 მაისს ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში წირვა აღავლინა - საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ. თანამსახურებდნენ ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი, ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი მიქაელი და სხვა სასულიერო პირები.

2022 წლის 12 მაისი, წირვა ღვთისმშობლის ტაძარში, მახათას მთაზე.

2022 წლის 21 სექტემბერს ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე მახათას მთაზე ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა საზეიმო წირვა აღავლინა. საზეიმო ლიტურგიაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მვდელთმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად, მონაწილეობდა ათონის მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ეფრემი.

ტაძარში, ათონის მთიდან ჩამობრძანებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის - „მანუგეშებელი“ კანონიერი ასლი დაბრძანდა.

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი -მანუგეშებელი“

ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ეფრემი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქრის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა დოკუმენტური ფილმი „მახარობელი“.

კადრები ფილმიდან - „მახარობელი“
განახლებული ტიპიკონით სახლების ერთობლივი კურთხევისთვის მზადება .